SEPTEMBER 3 19:00

ჯანანდრეა ნოზედა – დირიჟორი
ლიზა ბათიაშვილი – ვიოლინო
პან-კავკასიური ახალგაზრდული ორკესტრი

კაროლ შიმანოვსკი (1882–1937)
კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის No. 1, op. 35

ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი (1844–1908)
სიმფონიური სიუიტა „შეჰერეზადა“, op. 35

I ზღვა და სინდბადის გემი
II უფლისწულ კალენდერის ამბავი
III უფლისწული და მეფის ასული
IV დღესასწაული ბაღდადში. ზღვა. ხომალდი ეგასება კლდეს, რომელზეც სპილენძის მხედარი დგას.

Gianandrea Noseda – Conductor
Lisa Batiashvili – Violin
Pan-Caucasian Youth Orchestra

Karol Szymanowski (1882–1937)
Concerto for Violin and Orchestra No. 1, Op. 35

Nikolai Rimsky-Korsakov (1844–1908)
Scheherazade, Symphonic Suite, Op. 35
I The Sea and Sinbad's Ship
II The Story of the Kalendar Prince
III The Young Prince and the Young Princess
IV Festival at Baghdad. The Sea. The Ship Breaks against a Cliff Surmounted by a Bronze Horseman

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

კაროლ შიმანოვსკი – კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისთვის No. 1, op. 35
კაროლ შიმანოვსკიმ პირველი სავიოლინო კონცერტი 1916 წელს შექმნა და იგი თავის მეგობარს, ვირტუოზ მევიოლინე პაველ კოხანსკის მიუძღვნა. კოხანსკი კომპოზიტორს სავიოლინო პარტიის ტექნიკურ საკითხებში ეხმარებოდა და ნაწარმოებისთვის კადენციაც თავად დაწერა. კონცერტის ერთ-ერთ ლიტერატურულ შთაგონებად იქცა პოლონელი პოეტის ტადეუშ მიცინკის ლექსი „მაისის ღამე“. პირველი მსოფლიო ომისა და შემდგომი პოლიტიკური არეულობის გამო პრემიერა ვქვსი წლით გადაიდო: ნაწარმოები პირველად 1922 წელს ვარშავაში შესრულდა, თანაც სოლისტი კოხანსკი კი არა, იოზეფ ოზიმინსკი იყო. ისე, საინტერესო დამთხვევაა, რომ ამ საღამოს ორივე ნაწარმოებს ერთი და იგივე თხზულების ნომერი აქვს.

ნიკოლაი რიმსკი-კორსაკოვი – სიმფონიური სიუიტა „შეჰერეზადა“, op. 35
რიმსკი-კორსაკოვმა „შეჰერეზადა“ 1888 წლის ზაფხულში შექმნა, ახლო ადმოსავლური ზღაპრების ცნობილი კრებულის — „ათას ერთი ღამის“ — მთავარებით. იმავე წლის ოქტომბერში მან თავად იდირიჟორა სიუიტის პრემიერა სანქტ-პეტერბურგში. ნაწარმოების ადრეულ ვერსიაში ნაწილებს სიუჟეტური სათაურები ჰქონდა, თუმცა მოგვიანებით რიმსკი-კორსაკოვმა ისინი ამოიღო, რადგან არ სურდა, მსმენელს მუსიკა მხოლოდ ოთხი ზუსტად განსაზღვრული ზღაპრის ილუსტრაციად აღექვა. მიუხედავად ამისა, დღეს გავრცელებული სათაურები სწორედ ადრეული პროგრამიდან მომდინარეობს. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: რიმსკი-კორსაკოვი პროფესიონალ კომპოზიტორად ჩამოყალიბებამდე რუსეთის იმპერიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერი იყო და რამდენიმე წელი ზღვაში გაატარა. ამიტომ ზღვა მისთვის აბსტრაქტული ხატი კი არა, კარგად ნაცნობი სამყარო იყო და შესაძლოა სწორედ ეს ხსნის იმ გასაოცარ ფერადოვნებას, რომლითაც ზღვა „შეჰერეზადაში“ მუსიკალურად ცოცხლდება.

ამ დროს საქართველოში...
შიმანოვსკის კონცერტის შექმნიდან ხულ რამდენიმე თვეში, 1917 წლის 1 მაისს, თბილისის კონსერვატორია დაარსდა. ის საქართველოს პირველი უმაღლესი სასწავლებელი და რამდენიმე წლის განმავლობაში მთელ კავკასიაში ევროპული ტიპის ერთადერთი უმაღლესი მუსიკალური სკოლა იყო. მის პირველ პედაგოგებს შორის იყვნენ ლისბის. ვენიავსკის, მოშელესისა და ჩაიკოვსკის მოწაფეები, აგრეთვე იოსებ და რობინა ლევინები, რომლებიც მოგვიანებით ნიუ-იორკის ჯულიარდის სკოლის გამორჩეული პროფესორები გახდნენ.

Programme Notes
by Nino Jvania

Karol Szymanowski – Violin Concerto No. 1, Op. 35
Szymanowski composed his First Violin Concerto in 1916 and dedicated it to his friend, the virtuoso violinist Paweł Kochański. Kochański advised the composer on the technical details of the solo part and wrote the concerto's cadenza. One of the work's literary inspirations was May Night, a poem by the Polish writer Tadeusz Miciński. The First World War and the political upheavals that followed delayed the premiere for six years: the concerto was first performed in Warsaw in 1922, not by Kochański, but by Józef Oziminski. A curious coincidence links the two works on tonight's programme: both bear the opus number 35.

Nikolai Rimsky-Korsakov – Scheherazade, Symphonic Suite, Op. 35
Rimsky-Korsakov composed Scheherazade during the summer of 1888, inspired by the famous collection of Middle Eastern tales known as One Thousand and One Nights, and conducted its premiere in Saint Petersburg that October. The movements originally appeared with narrative headings, but Rimsky-Korsakov later removed them because he did not want listeners to regard the suite merely as an illustration of four fixed tales. Nevertheless, the familiar titles derive from that early programme. Another fitting fact: before establishing himself as a professional composer, Rimsky-Korsakov served as an officer in the Imperial Russian Navy and spent several years at sea. The sea was therefore not an abstract image for him, but a world he knew intimately — something that perhaps helps explain the extraordinary vividness with which it comes to life in Scheherazade.

Meanwhile in Georgia...
Only a few months after Szymanowski completed his concerto, the Tbilisi Conservatoire was founded on 1 May 1917. It was Georgia's first institution of higher education and, for several years, the only European-style higher school of music in the Caucasus. Its first teachers included pupils of Liszt, Wieniawski, Moscheles and Tchaikovsky, as well as Josef and Rosina Lhévinne, who later became distinguished professors at the Juilliard School in New York.